საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

დადგენილება №15
2013 წლის 11 აპრილი

ქ. თბილისი

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 2 მარტის №10/2012 დადგენილებაში „საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ" ცვლილებების შეტანის თაობაზე

„საქართველოს საარჩევნო კოდექსი" საქართველოს ორგანული კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ტ" ქვეპუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1
„საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 2 მარტის №10/2012 დადგენილებაში (სსმ ვებგვერდი, 05/03/2012, 010320010.15.008.016028) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:
1. დებულების მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" და „გ" ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.
2. დებულების მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის მოთხოვნები არ ვრცელდება ცესკოს მიერ არჩევნების პერიოდში არჩეულ საოლქო საარჩევნო კომისიის დროებით წევრებზე."

მუხლი 2
ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3
ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე	**ზურაბ ხარატიშვილი**
ცესკოს მდივანი	**გიზო მჭედლიძე**